



საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო



GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA

5200. ქ. წალენჯიხა, ვ. სალიას ქ. N5.
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha,

E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ წალენჯიხა

24 ივნისი 2022 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება N 36

ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების ინიცირების მიზნით, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტებთან შესაბამისობაში დადასტურებული წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 51-ე მუხლის 1-ლი, მე-2 პუნქტების და მე-4 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 52-ე მუხლის, „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების დანართის მე-2 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად,

მოწონებულ იქნეს ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების ინიცირების მიზნით, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტებთან შესაბამისობაში დადასტურებული წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის (შემდგომში - მერი) წინადადება.

2. განისაზღვროს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან (შემდგომში - ფონდი) დასაფინანსებელი წალენჯიხის მუნიციპალიტეტის პროექტების ნუსხა თანდართული დანართი №1-ის შესაბამისად.

3. ნება დაერთოს მერს, ეს განკარგულება და ამ განკარგულებით მოწონებული წინადადება (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებით განსაზღვრული დოკუმენტაცია) წარადგინოს საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში) სახელმწიფო რწმუნებულთან არსებულ სამხარეო საკონსულტაციო საბჭოსა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში.

4.ეს განკარგულება:

ა) გადაეგზავნოს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიას;

ბ) ძალაში შევიდეს მხარისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობისთანავე;

გ) ძალადაკარგულად გამოცხადდეს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 მარტის #17 განკარგულება

დ) შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. ზუგდიდი, რ. ლალიძის ქ. №12).

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე



კორნელი სალია